ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- *ღია დავალება*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი; ფოტო; ცხრილი; გრაფიკი; დიაგრამა; ფიზიკური, კონტურული, ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. რომელი მასშტაბის რუკაზე იქნება ტერიტორია გამოსახული მეტი დეტალიზაციით?

ა) 1 : 25 000
ბ) 1 : 200 000
გ) 1 : 1 000 000
დ) 1 : 22 000 000

(1) 2. რომელი მოგზაური დაიღუპა რუკაზე აღნიშნულ კუნძულზე ადგილობრივ ტომებს შორის გამართულ ბრძოლაში ჩარევისას?

ა) ჯეიმზ კუკი;
ბ) ფერნანდო მაგელანი;
გ) რუალ ამუნდსენი;
დ) მარკო პოლო.

(1) 3. რომელ კონტინენტზეა მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი?





ა) აფრიკაში;
ბ) სამხრეთ ამერიკაში;
გ) ევროპაში;
დ) ავსტრალიაში.

(1) 4. როგორი წარმოშობისაა ფოტოზე გამოსახული ტბა?

ა) კარსტული;
ბ) მყინვარული;
გ) შეგუბებული;
დ) ვულკანური.

(1) 5. ჩამოთვლილთაგან რა არის დამახასიათებელი მაღალი KOF გლობალიზაციის ინდექსის მქონე ქვეყნისთვის?

ა) ღია თანამშრომლობაზე და კოოპერირებაზე ორიენტირებული ეკონომიკა;
ბ) სახელმწიფოს მიერ მასმედიის საშუალებების ცენზურა;
გ) საზოგადოებაში კონსერვატიული და ორთოდოქსული შეხედულებების დომინირება;
დ) ეკონომიკის თვითკმარ ჩაკეტილ წარმოებაზე ორიენტირება.

(1) 6. გააანალიზეთ რუკა და განსაზღვრეთ, ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელს აქვს დადებითი სავაჭრო ბალანსი?


მსოფლიოს ვაჭრობა
ანტარქტიდა
ინდოეთი
ჩინეთი
ავსტრალია
ევროპა
ამერიკა
ბრაზილია
ეგვიპტე
ნიგერია
ეთიოპია
ინდონეზია
ფილიპინები
ალჟირი
ბანგლადეში
ბელორუსი
ბულგარეთი
ბელგია
ბოლივია
ბოსნია
ბოტსვანა
ბურკინა
ბურუნდი
ბენინი
ბაჰამები
ბაჰრეინი
ბერმუდა
ბაიკონურ
ბალტიისპირეთი
ბალტიკა
ბალკანეთი
ბალეარი
ბანგუი
ბანგალორი
ბანკოკი
ბანფ
ბარბადოსი
ბარანოვიჩი
ბარანკილა
ბარბუდა
ბარბიერ
ბარბიერ
ბარბიერ

(1) 7. 2007 წელს საქართველოს რომელი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე (მთლიანად) იქნა წარდგენილი იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესატანად?

ა) ხევსურეთი;
ბ) სვანეთი;
გ) რაჭა;
დ) თუშეთი.

(1) 8. გააანალიზეთ ტექტონიკური ფილების რუკა და განსაზღვრეთ, რომელი ფოტოა გადაღებული ისლანდიაში?



გადასვლა დავალების: II გვერდზე

ა)

ბ)

გ)

დ)

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(1) 9. სად მდებარეობს აპალაჩის მთები?

ა) ჩრდილოეთ ამერიკაში;
ბ) ევროპაში;
გ) აზიაში;
დ) სამხრეთ ამერიკაში.

(1) 10. ჩამოთვლილი მდინარეებიდან რომელი იღებს სათავეს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთის კალთიდან?

ა) თუშეთის ალაზანი;
ბ) თერგი;
გ) ასა;
დ) ნენსკრა.

(1) 11. რომელი ქალაქის ჰავას შეესაბამება კლიმატური დიაგრამის მონაცემები?

ნორვეგიის ზღვა
ისლანდია
ინგლისი
ირლანდია
ბელფასტი
ლონდონი
ბერლინი
ამბერდამი
ბრიუსელი
ბონი
ბონბლანი
ბელგრადი
ბუდაპეშტი
ბალტიის ზღვა
ბისკაის ყურე
ბალეარის კუნძულები
ბალეარის ზღვა
ბალხაშის ტბა
ბიშკეკი
ბაკუ
ბაქო
ბანგუი
ბანგლადეში
ბანგალორი
ბანგკოკი
ბანგი
ბანგუეკი
ბანგასი
ბანგალორი
ბანგლადეში
ბანგალორი
ბანგალორი
ბანგალორი

(1) 12. რა დანიშნულებით გამოიყენება სქემაზე მოცემული ბუნებრივი რესურსი?

ა) შენობის ფუნდამენტის გასამაგრებლად;
ბ) ნაგებობის გადახურვის მასალად;
გ) შენობა-ნაგებობის მოსაპირკეთებლად;
დ) ავტომაგისტრალის მშენებლობისას.

(1) 13. გააანალიზეთ რუკა და განსაზღვრეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ინფორმაცია:

ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მიხედვით (აშშ $)



ა) ევროპის კავშირის (EU) წევრი ქვეყნების შემოსავლები ერთ დიაპაზონშია;
ბ) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შემოსავლები ერთ დიაპაზონშია;
გ) სკანდინავიის ქვეყნების შემოსავლები ერთ დიაპაზონშია;
დ) ბრიქსის (BRICS) ქვეყნების შემოსავლები ერთ დიაპაზონშია.

(1) 14. რომელი ცხოველი გამოიყენებოდა საპალნე ტრანსპორტად პოლარული მკვლევრების მიერ?

ა)

ბ)

გ)

დ)

(1) 15. რა ინფორმაციაა ასახული მოცემულ რუკაზე?



ა) ღვინის ექსპორტის;
ბ) შაქრის ექსპორტის;
გ) ჩაის ექსპორტის;
დ) ხორბლის ექსპორტის.

(1) 16. გააანალიზეთ კლიმატური დიაგრამები და განსაზღვრეთ, რომელი წყვილი შეესაბამება სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ადგილებს?









ა) I და II; ბ) II და III; გ) III და IV; დ) I და IV.

(1) 17. რა პროცესს ასახავს მოცემული რუკები?



ა) ევროპაში NATO-ს გაფართოების;
ბ) ევროზონის (€) შექმნისა და გაფართოების;
გ) ევროპის კავშირის (EU) შექმნისა და გაფართოების;
დ) შენგენის ზონის გაფართოების.

(1) 18. რომელია განვითარებული ქვეყნის მახასიათებელი?

ა) შობადობის დონე მაღალია;
ბ) მიგრაციული სალდო უარყოფითია;
გ) მოკვდავობის დონე მაღალია;
დ) სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა მაღალია.

(1) 19. რომელი მტკიცებაა მართებული?

ა) აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად ჰაერის ტემპერატურა იზრდება;
ბ) ატმოსფეროს ქიმიურ შემადგენლობაში ჭარბობს ნახშირორჟანგის წილი;
გ) ატმოსფეროს ქიმიურ შემადგენლობაში ჭარბობს ჟანგბადის წილი;
დ) აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად ატმოსფერული წნევა მცირდება.

(1) 20. რომელი ორგანიზაციის შტაბ-ბინაა ნაჩვენები ფოტოზე?

ა) ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების;
ბ) ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების;
გ) გაერთიანებული ერების;
დ) ევროპული კავშირის.

(1) 21. რა შეიძლება მოცემული რუკის მიხედვით დავასკვნათ ავსტრალიის შესახებ (ყველაზე დაბალი ქულაა 1; საუკეთესო ქულაა 10)?



ა) ქვეყანაში მაღალია მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე;
ბ) მოსახლეობაში დაბალია ხანდაზმულთა ხვედრითი წილი;
გ) მოსახლეობა ბედნიერია ცხოვრებით;
დ) ქვეყანაში მაღალია აბორიგენი მოსახლეობის ხვედრთი წილი.

(1) 22. რომელი სახელმწიფოს შესახებ არის მოცემული ინფორმაცია?



ა) ავსტრალიის;
ბ) აშშ-ის;
გ) კანადის;
დ) სამხრეთ აფრიკის.

(1) 23. რას ასახავს 2023 წელის მონაცემების მიხედვით შედგენილი რუკა?



ა) ვულკანების ამოფრქვევის არეალებს;
ბ) მიწისძვრის არეალებს;
გ) ცუნამის არეალებს;
დ) ტროპიკული ქარიშხლების არეალებს.

(1) 24. გააანალიზეთ ინფორმაცია და განსაზღვრეთ, რომელ სახელმწიფოშია უფრო მეტი პროგრესი მწეველთა რაოდენობის შემცირების თვალსაზრისით?





ა) ბრაზილიაში;
ბ) გაერთიანებულ სამეფოში;
გ) გერმანიაში;
დ) იაპონიაში.

(1) 25. რას ასახავს ქვემოთ მოცემული რუკა?



ა) წყლის რესურსით უზრუნველყოფის დონეს;
ბ) ინტერნეტის ხელმისაწვდომობის დონეს;
გ) ქვეყანაში კორუფციის დონეს;
დ) ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის დონეს.

(1) 26. ეკონომიკის რომელ სექტორში დასაქმებულები არიან აღნიშნული დიაგრამაზე მწვანე ფერით (45,5%)?



ა) მშენებლობაში;
ბ) ვაჭრობაში;
გ) კავშირგაბმულობაში;
დ) სოფლის მეურნეობაში.

(1) 27. ტოპოგრაფიულ რუკაზე მონიშნულ რომელ არეალში მდებარეობს სატელიტურ ფოტოზე ნაჩვენები ტერიტორია?



გადასვლა დავალების: II გვერდზე

ა) A
ბ) B
გ) C
დ) D

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(3) 28. გააანალიზეთ ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) **28.1.** დაახლოებით რამდენი მეტრია მ. მუხის აბსოლუტური სიმაღლე?

ა) 148.8
ბ) 151.3
გ) 155.7
დ) 162.5

(1) **28.2** დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. მუხიდან მდ. იოს შესართავი?

ა) 40^0
ბ) 120^0
გ) 200^0
დ) 310^0

(1) **28.3.** რამდენ მეტრს შეადგენს მდ. ქვათანას ვარდნა? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(1) 29. გამოთვალეთ[1], 2023 წელს საქართველოში რამდენ ლარს შეადგენდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.





[1] სტატისტიკური მონაცემები დამრგვალებულია.

(1) 30. რომელი წლიდან აღინიშნება ინდოეთში ქვეყნის მთლიანი შემოსავლის ნახევარის გადანაწილება მოსახლეობის მდიდარ ფენაზე?



(2) 31. გააანალიზეთ მოცემული ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: II გვერდზე



(1) 31.1 რა პროცესის განვითარების საშიშროებას ასახავს მოცემული რუკები?
(1) 31.2 დაასახელეთ ამ პროცესის გამომწვევი ერთი ბუნებრივი ფაქტორი.

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(2) 32. რომელი ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენა და მისი შედეგებია ასახული ილუსტრაციებზე? დაასახელეთ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი.



(2) 33. დავალებაში მოცემულია აფრიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პეტროგლიფები, რომლებიც ძვ.წ. 9000-6000 წწ. თარიღდება. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

25° 10´ ჩ.გ.
8° 10´ ა.გ.

25° 45´ ჩ.გ.
12° 10´ ა.გ.



(1) 33.1. რომელი ბუნებრივი ზონა ვრცელდება დღეს იმ ტერიტორიაზე, სადაც აღმოაჩინეს პეტროგლიფები?

(1) 33.2. პეტროგლიფების ანალიზის შედეგად რა დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი ისტორიულ წარსულში აქ გავრცელებულ ბუნებრივ ზონასთან დაკავშირებით.

(3) 34. გააანალიზეთ დემოგრაფიული პირამიდები და უპასუხეთ კითხვებს:





(2) 34.1. რომელი კონტინენტის მონაცემებს შეესაბამება B პირამიდა და გამოთვალეთ მსოფლიოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი ცხოვრობს ამ კონტინენტზე? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(1) 34.2. B პირამიდის მიხედვით, 0-14 ასაკის მოსახლეობა კონტინენტის თითქმის 40% შეადგენს. როგორი აღწარმოების ტიპია დამახასიათებელი კონტინენტის სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის?

(4) 35. გააანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) **35.1.** რომელი პოლიტიკოსის მიერ იქნა შემოთავაზებული რუკაზე აღნიშნული გამყოფი ხაზი XX საუკუნის 80-იან წლებში?

ა) მარგარეტ ტეტჩერის;
ბ) რონალდ რეიგანის;
გ) ვილი ბრანდტის;
დ) შარლ დე გოლის.

(1) **35.2.** ახსენით, რა პრინციპით არის გატარებული რუკაზე სახელმწიფოების გამყოფი ლურჯი ხაზი.

(2) **35.3.** ახსენით, რა პრინციპით (საერთო მახასიათებლებით) არის გამოყოფილი რუკაზე წითელი ფერით აღნიშნული სახელმწიფოები და რა სახელით მოიხსენიებდნენ ამ ქვეყნებს?

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(8) 36. ენერგეტიკის სფეროში მდგრადობა მსოფლიოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: II გვერდზე

(2) 36.1. A დიაგრამის მიხედვით, 2022 წელს რომელი ენერგო რესურსით გამომუშავებულ ელექტროენერგიას შეესაბამებოდა 829 ტერავატ/საათი და რით ახსნით მოცემული რესურსის გამოყენების მკვეთრი ვარდნის ტენდენციას?

(2) 36.2. დაასახელეთ, რომელი ტიპის ენერგორესურსით გამომუშავებულ ელექტროენერგიაზეა მოცემული ინფორმაცია B დიაგრამაზე? პასუხი ახსენით.

(2) 36.3. C დიაგრამის მიხედვით დაასახელეთ, რომელ ენერგიას უფრო მეტად იყენებენ აშშ-ის მოქალაქეები სამზარეულოში საჭმლის მოსამზადებლად? ახსენით, რატომ არის სახლები უფრო მეტად ამ ენერგიით უზრუნველყოფილი.

(2) 36.4. D დიაგრამის მიხედვით, რომელი ტიპის ელექტროსადგურში გამომუშავებული ელექტროენერგიის მაჩვენებელმა განიცადა ყველაზე დიდი ვარდნა ევროპის კავშირში წინა წელთან შედარებით? ახსენით, რა იყო ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი?

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(6) 37. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ფართობი 2919 კმ²-ს შეადგენს და მის შემადგენლობაში 6 მუნიციპალიტეტია.

აჭარა 3 მხრიდან გარშემორტყმულია ქედებით, ხოლო დასავლეთის მხრიდან გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე. აქ მდებარეობს საქართველოს რამდენიმე მნიშვნელოვანი დაცული ტერიტორია და კურორტი.

აჭარის მოსახლეობის სიმჭიდროვის დინამიკა	
აღწერის წლები	კაცი/კმ²
1959	84,1
1970	106,1
1979	121,3
1989	134,5
2002	128,8
2014	114,4

ილუსტრაცია 1.



ილუსტრაცია 2.

გადასვლა დავალების: II გვერდზე; III გვერდზე; IV გვერდზე



გადასვლა დავალების: I გვერდზე; III გვერდზე; IV გვერდზე



ილუსტრაცია 4.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ეკონომიკა

1990 წელი

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; IV გვერდზე

(1) **37.1.** რა ინფორმაციაა მოცემული მე-2 ილუსტრაციაზე?

ა) ეთნიკური სტრუქტურა; ბ) რელიგიური სტრუქტურა;

გ) დასაქმების სტრუქტურა; დ) ასაკობრივი სტრუქტურა.

(1) **37.2.** რომელ დასახლებულ პუნქტს შეესაბამება დავალებაში მოცემული კლიმატური დიაგრამა?

ა) ბათუმს; ბ) ქობულეთს; გ) ხულოს; დ) ხელვაჩაურს.

(1) **37.3.** გამოთვალეთ, რას უტოლდებოდა აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წელს? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(1) **37.4.** ახსენით, შესაძლებელია თუ არა აჭარის ტერიტორიაზე სამთო-სათხილამურო სპორტის რომელიმე სახეობაში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება?

(2) **37.5.** აჭარის რომელ მუნიციპალიტეტში იქმნებოდა 1990 წელს მრეწველობაში ყველაზე ნაკლები ღირებულების პროდუქცია? მრეწველობის რომელ დარგში იქმნებოდა ამ მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ღირებულების უდიდესი ნაწილი?

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; III გვერდზე